1 თებერვალი

რიგითი III კვირა [III] მწ

(19.I) წმ. ღირსი ანტონ მესვეტე, მარტომყოფელი, VIს

2019 პარასკევი

ებრ 10,32-39; ფს 36; მარ 4,26-34

გამძლეობა გესაჭიროებათ ებრ 10,36

იესოსადმი სიყვარული წმიდად გვაცხოვრებს, იმ საქმეებს გვაკეთებინებს, მას რომ განადიდებენ; გვიბიძგებს, რომ ერთმანეთს დავეხმაროთ მოთმინებაში, ვინაიდან ალმართს ვადგავართ. ჩვენთვის შემწეობა იქნება მარიამის, დედა ჩვენის, გახსენება, მისი ლოცვა კი გაგვაძლიერებს.

2 თებერვალი

უფლის ტაძრად წარდგენა (მირქმა), დ, [ს], თ

2019 შაბათი

მალ 3,1-4 (ან, ებრ 2,14-18); ფს 23; ლკ 2,22-40

ბერ–მონაზონთა დღე

იხილეს ჩემმა თვალებმა ხსნა შენმიერი

ლკ 2,30

არ ვიცი, რა ნიშნის გამო შეუძლია თქვას სიმონმა, რომ დარწმუნებულია, ყრმა იესოში აღთქმული მესია იხილა. მაგრამ ხშირად გულის სიღრმეში მეც მეუფლება ხოლმე დიდი სიხარულის განცდა, როდესაც ვლოცულობ ან დანარჩენ ქრისტესმიერ ძმებთან ერთად ვარ. მისი ყოფნა იწვევს ამ ყველაფერს! გმადლობ, იესო, იმ ძღვენისათვის, რომ შემიძლია შეგიცნო შენ აქმყოფი, აღმდგარი ჩვენს შორის!

3 თებერვალი

რიგითი ჟამის IV კვირადღე, «გ», [IV], მწ

2019 კვირა

იერ 1,4-5.17-19; ფს 70; 1კორ 12,31-13,13; ლკ 4,21-30

დღეს აღსრულდა ეს წერილი, თქვენ რომ მოისმინეთ ლკ 4,21

იესომ წაიკითხა: "უფლის სულია ჩემზე, რადგან მან მცხო... და მომავლინა...". იგია, რომ ხორცს ასხამს მამის მთელ სიყვა-რულს ჩვენს მიმართ: ვინც მას ღებულობს, ვინც ანებებს, რომ მისგან იქნას დახსნილი მისივე ეკლესიაში, ის მიიღებს ნათელს, განიცდის ახალ თავისუფლებას, იცხოვრე-ბს მადლში, მამის უანგარო სიყვარულში ძმების მიმართაც.

2019 ორშაბათი

ებრ 11,32-40; ფს 30; მარ 5,1-20

დაინახეს ეშმაკეული, შემოსილი და გონთმოსული ზის მარ 1,37

ეს სიტყვა მახსენებს ჩემი მეგობრის მონა-ყოლს, რომელიც წლების განმავლობაში, სიყმაწვილიდანვე, მცირე ხნითაც კი ვერ ჩერდებოდა, განმარტოებით, რომ სახარება გადაეშალა და წაეკითხა. ამაში მას ხელს უშლიდა რაღაც ზეძალა და არ შეეძლო ამის მიზეზის ახსნა. საბოლოოდ, ლოცვის ჯგუფებში მონაწილეობის შემდეგ, იგი გათავისუფლდა ამ დაბრკოლებისაგან. გმადლობ, იესო, რომ არაფერს და არავის შეუძლია გაუძალიანდეს შენს სიტყვას, ერთადერთს, რომელსაც ხსნა მოაქვს.

5 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმ. აგათა ქალწ. და წამებ., +≈250 (მ) წ

2019 სამშაბათი

ებრ 12,1-4; ფს 21; მარ 5,21-43

მოთმინებით გავირბინოთ ჩვენს წინ მდებარე სარბიელი მარ 6,54

ჩვენი საბოლოო დანიშნულება არის სრული თანაზიარება მამა ღმერთთან, მის სრულყოფილ და დიდებულ შემეცნებამდე. წმიდანთა მაგალითის შემწეობით, - დღეს წმ. აგათას მოხსენიებით, ჩვენი მზერა მოთმინებით მივაპყროთ იესოს: და ჩვენ მივაღწევთ მიზანს.

6 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV]

წმმ. პავლე მიკი და მეგ., წამ., +1597, (მ), წ

2019 ოთხშაბათი

ებრ 12,4-7.11-15; ფს 102; მარ 6,1-6

ეცადეთ მშვიდობა იქონიოთ ყველასთან 3მეფ 8,27

შენიშვნის მიღება, სიყვარულით ცხოვრება, იესოს მიერ ჩვენთვის ბოძებული მადლის შემწეობა არის მშვიდობის წყარო ჩვენი გულისა და ჩვენი ყოველგვარი საზოგადო ურთიერთობისათვის. მოდი, სულო წმიდაო, და ყოველ ჩვენგანს მოჰმადლე სიმდაბლე, მოთმინება და კეთილგანწყობა ყველას მიმართ.

7 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

2019 ხუთშაბათი

ებრ 12,18-19.21-24; ფს 47; მარ 6,7-13

წავიდნენ და ქადაგებდნენ მონანიებას მარ 6,12

თორმეტი, იესოს მიერ წარგზავნილნი, მასთან ერთად იმყოფებოდნენ და მისი სული ჰქონდათ მიღებული. ახლა კი მზად იყვნენ: მათი სიტყვა ძლიერი იყო, ვითარცა მათი მოძღვრის სიტყვა. ეს იყო სიტყვა, მის სიყვარულს რომ გადასცემდა, მამისკენ მიმართულ ახალ სიცოცხლეში სიარულის ძალას რომ იძლეოდა.

8 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

წმ. იერონიმე ემილიანი, +1537; / წმ. იოსეფინა ბახიტა, ქალწ., +1947; / (26.I) წმ. დავით აღმაშენებელი, XI-XIIსს

2019 პარასკევი

ებრ 13,1-8; ფს 26; მარ 6,14-29

რადგან თქვა: "არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ" ებრ 13,5

ამ მიზეზით, ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი შეაგონებს მორწმუნეებს, რომ მცირედით დაკმაყოფილდნენ და გაჭირ-ვებული ძმების მიმართ მამის განგების იარაღად იქცნენ. მართლაც, ვის გულშიც იესოა, იგი უდიდეს საუნჯეს ატარებს!

9 თებერვალი

რიგითი IV კვირა [IV] მწ

2019 შაბათი

ებრ 13,15-17.20-21; ფს 22; მარ 6,30-34

მშვიდობის ღმერთმა... სრულგყოთ ყოველ კეთილ საქმეში ებრ 13,21

შენგან მოველით, უფალო იესო, შემწეობას წმიდად ცხოვრებისათვის, შენი სწავლებისა და მაგალითისამებრ, მამის სადიდებლად. მადლობას გწირავთ, ვინაიდან შეისმენ ამ ჩვენს სურვილს, რომელიც შენიცაა და მამისაც!

10 თებერვალი

რიგითი ჟამის V კვირადღე, «გ», [I], მწ

2019 კვირა

ეს 6,1-2,3-8; ფს 137; 1კორ 15,1-11; ლკ 5,1-11

ბადეები ჩაუშვით
თევზის დასაჭერად ლკ 5,4

პეტრემ შეასრულა იესოსადმი მორჩილე-
ბის პირველი აქტი: ასე მან უმალვე შეიც-
ნო ღმრთის ძალა. კვლავაც ასეა: ეკლესია
უფლის სიტყვის ირგვლივ ტრიალებს,
ამიტომაც მის საქმეს საუკუნო სიცოცხლის
ნაყოფი მოაქვს ადამიანებისთვის.
ქება შენ, იესო, რომელიც მოგვიხმობ
ჩვენ, საბრალო ცოდვილებს,
რათა შენთან ვითანამშრომლოთ!

11 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

ლურდის ღვთისმშობელი (უმანკო ჩასახება)1858
(29.I) წმ. აშოტ დიდი კურაპალატი, წამებ., +826

2019 ორშაბათი

დაბ 1,1-19; ფს 103; მარ 6,53-56

სნეულთა დღე

ღმრთის სული იძვროდა წყლებზე დაბ 1,2

ღმერთის სული იძვროდა წყლებს ზემოთ
და აწესრიგებდა ჯერ არარსებულის ქაოსს.
სულიწმიდა მეც შემეწია, იესომ კი შემძრა.
და იესომ დაიწყო ჩემი ცხოვრების მოწეს-
რიგება. მე ლოცვა დავიწყე: დილით, საღა-
მოს, და ხშირად ყოველდღიური წირვაც.
ყოვლადწმიდა მარიამი ჩემთან ახლოს იყო,
გვერდში მედგა და მაძლიერებდა "გიხარო-
დენ"-ის და სავარდის ლოცვით, რომელიც
მანამდე სრულებით დავიწყებული მქონდა!

12 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

2019 სამშაბათი

დაბ 1,20-2,4; ფს 8; მარ 7,1-13

აკურთხა ღმერთმა მეშვიდე დღე და წმიდაჰყო იგი დაბ 2,3

ღმერთო, მამაო ჩვენო, გმადლობ, რომ წმიდაჰყავი მეშვიდე დღე: მას მივუძღვნით დასვენებას, შენთან, შენს აღმდგარ ძესთან, იესოსთან, და ძმებთან თანაზიარებას. ამ დღეს, შენ მოგვმადლი, რომ შენში ვიყოთ, შენს სიტყვას მოვუსმინოთ, სიყვარულით შევიცნოთ და მივიღოთ შენი წმიდა ნება.

13 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

2019 ოთხშაბათი

დაბ 2,4-9.15-17; ფს 103; მარ 7,14-23

იქმნა კაცი ცოცხალ არსებად დაბ 2,7

“უფალმა ღმერთმა... შთაბერა მის ნესტოებს სიცოცხლის სუნთქვა და იქმნა კაცი ცოცხალ არსებად”. ასე მოხდა შექმნის დასაწყისში. მამის ხატად, იესო სულიწმიდას შთაბერავს მას, ვისაც მისი სწამს და ვინც მას მიენდობა; როდესაც მას ვღებულობთ, მამის იმავე სიყვარულისმიერი სიცოცხლით ვცხოვრობთ: ესაა საუკუნო სიცოცხლე, რომლისთვისაც ცნობილია სიხარული, რომ სრულად ვიყოთ ნაყვარებნი და შეგვეძლოს შეყვარება.

14 თებერვალი

წმმ. კირილე (+869) და მეთოდი (+885)
ევროპის მფარველნი, დ, [ს] თ

2019 ხუთშაბათი

საქმ 13,46-49; ფს 116; ლკ 10,1-9

სამკალი ბევრია, მუშაკი – ცოტა ლკ 10,2

წმირად ვამბობთ, რომ ჩვენ, ქრისტეს მოწაფეები, ამ სამყაროში უფლის ხელები, ფეხები და პირი ვართ..., მაგრამ შემდეგ ეს გვავიწყდება. წმმ. კირილე და მეთოდი უფლის პირი იყვნენ: ისინი შრომობდნენ მისი სამკალის გასაზრდელად და სახარებას ქადაგებდნენ სლავ ხალხებში. დღესაც უსათუოდ, ამა თუ იმ ვითარებაში, მამა მომიხმობს, რომ ვიყო მისი მუშაკი, მისი იარაღი მისი სიყვარულის გასავრცელებლად ევროპის ამ კუთხეში, რომელშიც ვცხოვრობ.

15 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

2019 პარასკევი

დაბ 3,1-8; ფს 31; მარ 7,31-37

უბრძანა, არავისთვის ეთქვათ მარ 7,36

როგორც კი იესომ ყრუ-მუნჯს უთხრა ესოდენ მნიშვნელოვანი სიტყვა: "ეფფათა! განიხსენ!", მაშინვე აღსრულდა. მაგრამ უბრძანა, რომ არავისთვის ეთქვა ეს, თუ-ნდაც შეუძლებელი ყოფილიყო ასეთი მშვენიერი რამის დამალვა. იესოს როდი სურს, რომ გულშემატკივრები მოხიბლოს, არამედ სწადია, რომ გაჰყვნენ მოწაფეე-ბი, რომლებიც მისით იქნენ მოცულნი და რომლებმაც იგი შეიცნეს. ჯვართან მია-ხლოებული გულშემატკივრები უჩინარდე-ბიან, იფანტებიან; მოწაფეები ითმენენ და აღდგომას მოელიან.

16 თებერვალი

რიგითი V კვირა [I] მწ

2019 შაბათი

დაბ 3,9-24; ფს 89; მარ 8,1-10

მეცოდება ეს ხალხი მარ 8,2

იესო ხედავდა ხალხის დაქანცულობას, რომელიც უკვე სამი დღე იყო მას მიჰყვებოდა და უსმენდა. ბევრი მათგანი მარხულობდა კიდეც. კეთილი მწყემსის დარად, მან ისინი გამოკვება. ზოგჯერ, როდესაც სახლში სტუმარი მოდის, გარკვეულ თანაგრძნობას ვიჩენთ მისი დაღლილობის მიმართ და სიჩუმისა და ლოცვის გარეშოს ვუქმნით. მაშინ ვცდილობთ, რომ მისი მსხვერპლი შევთავაზოთ იესოს, რათა მის გულთან საუბარი შეძლოს.

იერ 17,5-8; ფს 1; 1კორ 15,12.16-20; ლკ 6,17.20-26

მ. სიმონ კლიმაშევსკის გახსენება (+2006)

ნეტარ ხართ გლახაკნი, რადგან თქვენია ღვთის სასუფეველი ლკ 6,20

იესო გლახაკი იყო, ისევე როგორც დედა-მისი, მარიამი. მას უჩვენა უფალმა, რომ "მდიდრები ხელცარიელი გაუშვა". სიგლა-ხაკემ, იმისათვის, რომ იესოს გაჰყვე, შიში მომგვარა. მაგრამ მადლობელი ვარ, ვინა-იდან იესომ განმაცდევინა, რომ გლახაკებს აგემებს თავის სიყვარულს, წინამძღოლო-ბას და თავის მზრუნველსა და მარადიულ მამობას.

18 თებერვალი

2019 ორშაბათი

დაბ 4,1-15.25; ფს 49; მარ 8,11-13

განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ? დაბ 4,9

ცდუნება არის გამოცდა იმის სანახავად, უფალი გვიყვარს თუ საკუთარი თავი, ჩვენი მიდრეკილებები. ღმერთო მამაო, შენ მეხმარები, რომ ფხიზლად ვიყო, რომ მთელი გულით შეგიყვარო შენ და ყოველი ადამიანი, როგორც შენ გიყვარს. ყოველი ადამიანი მართლაც ჩემი ძმაა: მასზე რომ არ ვიზრუნო, ეს ხომ შენდამი ღალატია, მამაო.

19 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

(6.II) წმ. ღირსი არსენ იყალთოელი +1127, მონაზონი

2019 სამშაბათი

დაბ 6,5-8;7,1-5.10; ფს 28; მარ 8,14-21

ნოემ ჰპოვა მადლი უფლის თვალში დაბ 6,8

ნოე ღმრთისმოშიში და თავმდაბალი კაცი იყო, მას ემორჩილებოდა და მისთვის საჭირო იყო, და თავის ახლობლებსაც ეხმარებოდა, რომ ასე ეცხოვრათ. ამიტომაც "ჰპოვა მადლი უფლის თვალში", რომელმაც წარღვნის უბედურებისგან იხსნა იგი მთელ მის ოჯახთან ერთად. განა შევძლებ ნოეს სახელის ადგილას ჩემი სახელი დავაყენო?

20 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

2019 ოთხშაბათი

დაბ 8,6-13.20-22; ფს 115; მარ 8,22-26

მიუყვანეს ბრმა და ევედრებოდნენ, რომ შეხებოდა მას მარ 8,22

არსებობენ ხორციელად ბრმები და სულიერად ბრმები. იესო, შენ ხარ სულთა და სხეულთა მკურნალი: გმადლობ ყველაფრისთვის, რაც გამიკეთე, გმადლობ, რომ დღეს შემიძლია შენთან მოვიყვანო ის, ვისაც უმძიმს რაიმე ფიზიკური სნეულების მიღება და, პირველ რიგში, ვისაც არ ძალუძს შენი შეცნობა. შეეხე მათ შენი წმიდა და ძლიერი ხელით!

21 თებერვალი

რიგითი VI კვირა [II] მწ

წმ. პიერ დამიანი, ეპ. და ეკლ. მოძ. +1072

2019 ხუთშაბათი

დაბ 9,1-13; ფს 101; მარ 8,27-33

თქვენ რაღას იტყვით: ვინ ვარ მე? მარ 8,29

დღეს, იესო მეც მეკითხება და შენც. სულიწმიდა მეხმარება, რომ პეტრეს მსგავსად დარწმუნებით ვუპასუხო: "მწამს, იესო, რომ შენ ხარ ქრისტე, ძე ცოცხალი ღვთისა!" გმადლობ, სულო წმიდაო, რწმენის იმ ძღვენისათვის, შემდეგ კონკრეტულ ცხოვრებად რომ იქცევა.

22 თებერვალი

წმ. პეტრე მოციქულის საყდარი, დ, [ს], თ

2019 პარასკევი

1პეტ 5,1-4; ფს 22; მთ 16,13-19

შენ ხარ პეტრე და ამ კლდეზე ავაშენებ ჩემს ეკლესიას მთ 16,18

იესო, შეიცნობს რა პეტრეში ზეციერი მამის ნათელს, სწორედ ამ სიტყვებს ეუბნება მას. ყოველი ქრისტიანი, რომელიც იესოში შეიცნობს ღმრთის ძეს და შეიყვარებს მას და აღასრულებს მის სიტყვას, ამ შენობის მნიშვნელოვანი ქვა იქნება. გმადლობ, იესო, ვინაიდან გსურს, რომ მეც დამეხმარო შენი ეკლესიის მშენებლობაში.

ებრ 11,1-7; ფს 144; მარ 9,2-13

მ. სტეფანე დემურიშვილის გახსენება

ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არსებობს ებ 11,6

ღმერთი უპიროვნო სინამდვილე როდია, რომელსაც შეიძლება შეხედო, თვალი შეავლო და აირჩიო, თან წაიღებ თუ არა, თითქოს ბაზრის დახლებზე დაწყობილი პროდუქტი ყოფილიყოს. იგი ისაა, ვინც შეგვიყვარა და ვისაც ვუყვარვართ და სურს, რომ თავის ცხოვრებაში ჩაგვაბას (და არა პირიქით!). ამის გაკეთება მაშინ შეუძლია, როდესაც მას მივენდობით. მაშინ იგი თავს "დაგვანახებს", შეგვაცნობინებს, როგორც აბრაამთან, პატრიარქებთან და თაბორის მთაზე სამ მოციქულთან მოიქცა.

1მეფ 26,2.7-9.12-13.22-23; ფს 102; 1კორ 15,45-49; ლკ 6,27-38

იყავით გულმოწყალენი, ისევე როგორც თქვენი მამაა გულმოწყალე ლკ 6,36

გმადლობ, იესო: შენ გვაძლევ ჭეშმარიტ იმედს შენი სიტყვებით, რომელთა შესრულებითაც სიხარული და მშვიდობა გვეუფლება. გმადლობ, რომ შეგვიძლია შენგან ვისწავლოთ, რომ ყოველთვის ასრულებდი იმას, რასაც გვეუბნებოდი. ჩვენ ვიხილეთ შენი წყალობა სნეულთა, ცოდვილთა და შეპყრობილთა მიმართ. შენი მადლით შევძლებთ შენს მობაძვას და მამის განდიდებას.

25 თებერვალი

2019

რიგითი VII კვირა [III] მწ

(12.II) წმ. ღირსი პროხორე,
იერუსალემის ჯვრის მონასტრის ამშენებელი, XIს

ორშაბათი

ზირ 1,1-10; ფს 92; მარ 9,14-29

ძირი სიბრძნისა არის ღვთის სიტყვა ცათა შინა ზირ 1,5

ღვთის სიტყვა ჭეშმარიტად მთელი სიბრძნეა: სულიწმიდის და სულიერი წინამძღვრის შემწეობით გაგებულმა და განცდილმა, მან მშვიდობა შემოიტანა ჩემს გულში, კეთილი გადაწყვეტილებებისკენ მიბიძგა და მომცა ძალა, რომ უარი მეთქვა მასზე, რაც არ იყო საამური იესოს თვალში.

26 თებერვალი

რიგითი VII კვირა [III] მწ

2019 სამშაბათი

ზირ 2,1-11(1-13); ფს 36; მარ 9,30-37

ნუ აჩქარდები განსაცდელის ჟამს ზირ 2,2

როდესაც რაღაც თავდაყირა აყენებს ჩემს ცხოვრებას, უფალი მირჩევს, რომ არ ავჩქარდე, გზას არ გადავუხვიო, სწორი მიმართულება არ დავკარგო: ჩემი კომპასი მუდამ მისკენ უნდა იყოს მიმართული. ცხოვრებისეულ მოვლენათა ლაბირინთში, თუ მას ჩავეჭიდები რწმენით, იმედი არ გაგვიცრუვდება: იგია გამოსავალი! მასთან ერთად არ არსებობს გამოუვალი მდგომარეობა!

27 თებერვალი

რიგითი VII კვირა [III] მწ

2019 ოთხშაბათი

ზირ 4,11-19(12-22); ფს 118; მარ 9,38-40

ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის

მარ 9,40

იესო ანათლებს თავის მოწაფეებს, რომელთაც აკრძალული ჰქონდათ ეშმაკეულთა განდევნა იმ ადამიანებიდან, რომლებიც მათი წრიდან არ იყვნენ: "ვინც ჩვენი წინააღმდეგი არ არის, ის ჩვენთან არის". ვინც ეშმაკს უარყოფს, ღვთის სასუფევლის მშენებლობაში მონაწილეობს! გმადლობ, იესო, რომ ჩვენს გულს აფართოებ.

28 თებერვალი

რიგითი VII კვირა [III] მწ

2019 ხუთშაბათი

ზირ 5,1-8(1-10); ფს 1; მარ 9,41-50

ნუ აყოვნებ მოქცევას უფლისაკენ ზირ 5,7

დიახ, მაგრამ არა იმდენად ჯოჯოხეთის
და საბოლოო სასჯელის შიშით. არსებობს
უფრო ნამდვილი და მშვენიერი მიზეზი:
რათა არ დარჩე იმ გამოცდილების გარე-
შე, რომ ღმერთი ძალზე განსხვავებულია
მასზე შენეული წარმოდგენისგან, რომ
შეიცნო იგი, როგორც უფაქიზესი მამა, რომ
იგემო მისი სიყვარული, შენს გულს რომ
უხსნის ახალ ჰორიზონტებს, ძმურ ურთიე-
რთობებს, მანამდე რომ არ განგიცდია. ნუ-
ღარ დაკარგავ დროს: მოიქეცი უფლისაკენ,
მობრუნდი მისკენ მოსმენით, სიმდაბლითა
და სიმტკიცით.